

პირი საშაროებრის კომენციის

წლები — დიდებით მოხილო, დიად თარიღთა კავშირო, კომენცირულო ბილეთო, ალისფერ დროშად გაშლილო, შენზე სიმღერა მომინდა ოციან წლების გვარდიელს, ბევრჯერ გვარდევდნენ მე და შენ, ვერ დაგვცეს, ვერ დაგვარმის.

გვიტევდნენ, თავს არ ვჩოგავდით, რომ მტერზე ჭავრი გვეყარა,

წინ მიგვიძლოდა პარტია, ზურგს გვიმაგრებდა ქვეყანა. გვშიოდა, ტაზე არ გვეცა, ყინვა ძვლებამდე ატანდა და მაინც წამოგაარიქეთ „თბილად ჩაცმული“ ანტანტა. პირველი ხუთწლედები და პირველ მწვერვალთა

დაყრიობა...

კომენცირული საგური, კომენცირული ლაშქრობა.

ვუტევდით, რომ მტრის ნაკაზე კვირტებად ამოგვეყარა,

წინ მიგვიძლოდა პარტია, ზურგს გვიმაგრებდა ქვეყანა.

მაგრამ ცისკარი დუშანბა ხელახლა ჩამოგვინისლა,

ისევ მოგვწევიტა ხარახოს ორმოცდაერთის ივნისმა.

სამშობლოს მოწოდებაზე, აღვსდექით აბჯარასხსმული,

ისევ დავსჭექეთ საბრძოლო კომენცირული ლაშქრული.

კვლავ ჩავაშხამეთ ვერაგ მტერს ოცნება „გაშლილ

სეფაზე“

და ისე გაფუმასპინძლდით, თვალი მოექცა კეფაზე.

მზედ ჩავასახლეთ მშვიდობა უკელა ბრძმებსა და

კაშალში,

მაგრამ, აქა-იქ, მახვილი კვლავ ვერ ისვენებს ქარქაშში.

ვიღაცა ფიქრობს რევანშეზე და ბორგავს ამორბალივით,

ვიღაცას ჩვენი მიღწევა ყელზე ადგება ძვალივით.

მაგრამ თუ მტერმა გამოდა და კვლავ საომრად შეგვებარა,

კვლავ გაგვიძლვება პარტია, კვლავ ხმალს გვიკუროთხებს

ქვეყანა.

„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ

შეგვეცილება,

თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მყვდარსაც კი

გაეცინება“.

ისე გაფუხდით ძალს და რბილს, ავს და კარგს ვედარ

გაარჩევს,

თან ისეთ პანლურს ამოცერავთ, „ჩექმის ნომრები“

დააჩნდეს.


კომენცირულო ბილეთო, სამშობლოს სიჭაბუქე ხარ,

წლები რას გიჩამს? თუმცალა ორმოცდაათის უკვე ხარ!

დრო რას დააკლებს შენს საქმეს — საარაკოს და

გასაკვირს,

იყავი, ხარ და იქნები უბერებელი ასაკის!



კარულების ცენტრი

05 12 2023 გთხოვთ
გთხოვთ



— მოგილუცათ დასადუბის დღეს!

საქართველოს ქართველის საიმპირა ანქაზი

დაბადების წელი — 1921.
ეროვნება — ქართველი.
დაბადების ადგილი — თბილისი.
განათლება — უმდლესი.
სოციალური წარმოშობა — მუშურ-გლეხური.
ოჯახური მდგომარეობა — საბჭოთა კაშირის მრავალ ეროვანი ოჯახის წერი.
ძირითადი საქმიანობა — ქომუნიზმის მშენებელი.
დამოკიდებულება — სამხედრო სამსახურთან — სამხედრო ვალდებულება.
რა საქმიანობა ეწოდა რევოლუციაში? — არალეგა-ლურ მუშაობას.
შევს თუ არა საზოგადოეთ ნათესავები? — მთელი მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობა.
რა საქმიანობა ეწოდა რევოლუციაში? — არალეგა-ლურ მუშაობას.
გული თანაშეწერ. 1921 წელს იბრძოდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდციოდ. ამავე წელს ეხმარებოდა ვოლგისპირეთის მთასხლეობას, სადაც მდვინარებელი შემშილი, 1922 წლიდან ებრძოს კულაკებს და იწყებს იქინის ჩელიგურის გადმონაშობების წინააღმდეგ. მოდევნი წლებში მუშაობდა კოლმეურნეობებში, არტელებში, რიონქესის, ზესტაფონის ფეროშენარიბის, თბილისის ფოლადთუხჩხმომსხმელსა და ავტოსარემონტო ქარხნებში, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში და სხვ. დღემდე არ გაუცდენი არც ერთი დღე, ამამად მუშაობს მეცნიერებების მთასხლეობას, და ქორხილებების, რესთავის მეტალურგიულსა და ქუთაისის აეტოქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, ვენახებში, პლანტაციებში, ყამირ მიწებზე და სხვ.
მონაწილეობდა თუ არა სამშელო მაში, როდის და სად? — იბრძოდა მოწინავე ხაზზე, მოის დაწყების დღიდან, დამთავრებამდე.
აქვს თუ არა მთავრობის ჭიდოები? — შრომის წითელი ღრუშის თაღდენი.
რა მიღწევები აქვს სპორტში? — არის სპორტის დამსახურებული ისტატი ყველა სახეში და — მსოფლიო ჩემპიონი მთელ რიგ სახებში.
შევს თუ არა მთავრობის ჭიდოები? — უმრავი — პატარა და ძმა, ოქტომბრელებისა და პიონერების სახით.
რა მიზნებს ისახავს? — რომ ჩემნა თაობამ იცხოვოს კომუნიზმში.

ეს სტრიქონები, გულარებელი, იმ პიროვნების ეძღვება, რომელიმაც უძლვნას კომიტეტის უროვა და უმორჩებება... ასაკის მიუხედავად, თანატოლებად ვიცანით, ჩვენთვის ცველანი არია რომ და აათი მლისანი!

შუბრი აბაკელი,
ენგურებესის შენებელი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საკ. ალექსანდრი ნიშნის კავალერი.
ჯილდო, შექება, დიდება... — არც ერთი არ დაგელებია. ხარ ენგურებესის შუქურა, შენ, შუქრი აბაკელი ვაკელი ნათურასავით გინთა გულს შრომის შუქი უქრობი... აშენ შეუნელებლად და გაგვხარე შუქრი მიმდინარე.

რამაზ აბაშიძე,
საქ. ბოლიტენიდებური ინსტიტუტის სტუდენტ-მეცანირეთა რაზმის ხელმძღვანელი.
რამაზის რაზმია დალაშქრა ყამირ-ნასვენი მიწები.
თვითონ მაგალითს აძლევდა, შრომიბრა თავდავიწყებით... იმდენი ჯილდო მიიღო, იმდენერ უქეს მარჯვენა, წამოსვლა აღარ უნდოდა, ყამირზე სურდა დარჩენა.

ნანა ალექსანდრია

არის გამსვლელი პაიყ და სიხარულად ანთია ჩვენთვის — მოგებებს ჩვეული — ნანატრი ალექსანდრია. მეცე ახალი მეტოქის შებოჭის, დასცეს უსულოდ! — რა შეიძლება დღეს ნანას აძაზე მეტი ვუსურვოთ?

რეზო ამაზუკელი,

პოეტი, საქართველოს კომედიის პრემიის ლაურეატი. შენ, რეზო ამაშუკელო, ჩვენი ძვირფასო ამაში, თვის დადება კაცისოვის გიჩანს მლერად და თამაშიდ... უშენოდ უნდა ჩატარდეს რა ზემინი და რა ლინი?

ახალ-ახალი ლექსებით ცას მიაწვდინე ძახილი!

ნონა გაფრინდაზვილი

უკირველესად დედობას ვულოცავ ნონა დედოფალს! გვეამაყება, ქართველებს, იმისი ერთადერთობა... მას, გერგერობით, ამ ქვეყნად ვერავინ ვერ მოერია, ვინც ნონას თაყვანს არა სცემს, აგრი ჭადრაკის მტერია!

აპაკი გაზერელია,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.

ზეპირად იცი მსოფლიო მწერლობის ყველა შედევრი, ფლობ აზრთა ყველა საუნივერსიტეტის შენ სხვა სიმაღლეც შეგვერის! მამულიშვილის, გენტლმენის ხარ ეტალონი, ნიმუში... როგორც მწერალს და მეცნიერს, არ გაქვს არც ერთი მინუსი! სამოც წელს გვიან გილოცავ და თავს ვიმშეიდებ იმითი, რომ ამდენი ხნის დუმილსაც შენდამი ლოცვალ მიმითვლი!

ქეთევან გოგიტიძე,
ქობულეთის რაიონის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი

შენი შრომითი დიდება მთელ საქართველოს ეღება, გეგმების შესასრულებლად თავიც კი გაგემეტება... თქვი, „მწვანე ოქრო“ ამდენი, რა კალათებში გეტევა, გამრჯე მარჯვენაქებულო, ქობულეთელო ქეთევან!

მარაგ ელიოზიზვილი,
მწერალი, საქართველოს კომედიის პრემიის ლაურეატი.

ბრწყინვალე პროზაიკის, ფნტასტიკურად ხალასი... ქართული სული ანთია მერაბის სიტყვის ძალაში! მან საცხოვრებლად ირჩია კონტა ქალაქი — ცხინვალი. მოთხოვნას იწყებს თბილისში და ცხინვალში აქვს ფინალი.

საქართველოს კომისაზეპირი!



უოთა იახანიძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

30ს არ ხიბლავდა თამაში შეუპოვარი შოთასი...

იამანიძის ჩეიდი მუდამ იქნება მოდაში!

სანიმუშოდ ჰყავს სპორტსმენთა უფროს და უმცროს თაობას. ხომ ხედავთ, რარიგ ძნელია, „დინამის“ უშოთაობა?

თამაზ იშვილაძე,

კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის
პირველი მდივანი

დაზვენებული მაღალი შუბლით, ზრდილობით, თავაზით —
ახალგაზრდობას იმედად ჰყავს იმედად თამაში —
მთელი ქუთაის-ქალაქის ხელიხლასგოგმანები —
საუკეთესო ქართველი, ვაკეაცი სათაყვანები!

ლიანა ისაკაძე

ოძროს მედლების მომხვეჭმა და მომხიბვლელმა ლიანამ
ავიესო სიამაყისა და აღტაცების ფიალი:
ბევრი ქვეყანა ღაიძყრო (საფრანგეთ-ფინეთიანად),
ვიოლინოთი მსოფლიოც მაღლ დაეყრის მთლიანად!

ელენ კოშეზაზილი,

რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშა, სოციალისტური
შრომის გმირი, საკ. ალკე საპატიო ნიშნის კავალერი.
ფიზიკურ შრომით ადიდებ, აქობ ქიმიურ კომბინატს,
შენმა მიოწევო, ელექტ, გულზე ნათელი მომფინა!
ახალი გამოწვევები დღედაღმ შენი ფიქრია
და, რუსთაველი გოგონა, მას აქებ, ვინცა გიქია!

ნოდარ კოხეიძე,

პარტიის სამტრედის რაიონის პირველი მდივანი.
შენ კომკავშირმა გაგზარდა პარტიის ერთგულ მსახურად.
ქართული მიწა გიგა, ქართული ზეცა გახურავს...
ხარ დინგი, აუჩქარები, გულ და გონებანათელი
და სამტრედის რაიონს უნიხარ, როგორც სანთელი!

ვიქტორ კუპრაძე,

აკადემიკი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი.

...გადაღვირთილი, ურუბლო... მჭევრმეტყველი და რიტორი,
როსტევანივით მაღალი, უხვი, მდაბალი ვიქტორი...
სისპერაკე და სინდისი ქართული მათემატიკის,
უუმაღლესი ქართველი და პიროვნება ნატიფი.
ახალგაზრდობის ქომაგი, სულ რომ სხივებად გადაშლის...
დღეს მე მას ვუძღვი ფორმულას: ჯანი პლუს წლები
(კვადრატი).

რევაზ ლალიძე,

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.
შენი მუსიკა მსმენელში ღვთაებრივ გრძენობებს აღვიძებს,
სახალხო კომპოზიტორო, სახოტბო რევაზ ლალიძე!
ხარ წრფელი, უსაყვარლესი, ღიღსულოვანი, გულუხვი...
გიმლერის შენი ქვეყანა — ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი.

კონსანტინო ლორთიშვილი,

შ. რუსთაველისა და ა. ფადევის სახელმწიფო
პრემიების ლაურეატი.

იგავი მხურვალე სიყვარულს შენი მშობელი ერისა.
კვლავაც დიდებით გაგევლოს ნამდვილი მწერლის ძნელი გზა,
იმდენი ჭილდო მიგელოს, ვერ დაეთვალოს ვერვისა!
რაც „ნაკადულმა“ საქმე ჰქნა, მას მდინარე ცე
ვერ იზამს!
სიკვდილი ბევრსაც მოიცდის, თუ შენებურად შერისხვავ...
ერთი და ორი ცოტაა! — გისურვებ ას კარგ წელიწადნ!

იური გგალობლივილი,

მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის
სამართველოს უფროსი.

„მოხუცი“ კომკავშირელი — მგალობლივილი იური,
უბადლო სპეციალისტი, ვაჟაცი, მართლაც ღვთიური...
ახალ პოსტეზდაც ახალი ძალ-ღონით გამოაშუქებს...
და, გეგმის ზევით, სამშობლოს კიდევ მრავალ შვილს აჩუქებს!

ალექსანდრე გერიველი,

ჩოგბურთელი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.
მას არსად შეურცევენია ერი და გვარიშვილობა,
მოიგო ბევრი ფინანსი... მოელი მსოფლიო ჰევირებობდა,
ჰევნდა ქართული სული და არ ჰევნდა პრიზთა მცირობა,
ხელმარჯვედ სცემდა ჩოგანისა, იხმარა დიდი გმირობა!

ლამარა სიხარულიძე,

კომკავშირის ჩოხატაურის რაიონის პირველი მდივანი.
მურმაშვილი ფუტკროვითა — ასეთი გახლავთ ლამარა.
პირდაპირი და მართალი, ნაკლს არასოდეს დამალავს.
დე, კვლავაც იყოს გამკვლევი ახალგაზრდობის ყველა გზის,
მეტი სახელი შემატოს რაიონს ბორის ძნელის ძნელის!

ზურაბ სოტკილავა,

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი,
საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.
რა ესმოდა მღერა ყმისა, აღფრთვენდა ესპანეთი...
დაფნის ქუდი ხურავს ზურაბს... სიყვარულით ვესალმები!
ის დამცველი იყო ერთ ღროს თბილისისა „დინამოსი“,
კართან არვის არ უშვებდა, ფრენდა, როგორც იქაროსი...

30ნარი სხულუხია,

სოციალისტური შრომის გმირი, საკ. ალკე ცენტრალური
კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი.
გმირის ასული... თვით გმირი... ჩვენი ქებული ვინარი,
თავმდაბალი და უბრალი... ვინარისთანა ვინ არი?
ჭიკვიანი, დარბაისელი, ქართული სითბოს მფინარი...
მოსკოვშიც ისე მუშაობს, კაც ეგონება, შინ არი.

გურაბ ფანჯიკიძე,

მწერალი და უურნალისტი.
ის პროფესიით (ამსაც გაგიმხელო) მეტალურგია.
გურამის შიშით თბილისის „ლინამოს“ ვერ წაუგია.
„მეშვიდე ციდან“ პირდაპირ მეცხრე ცაშია ასული,
შემოიარა მსოფლიო, არის მწერალი კაც ცური!

ნიკო ჩავხიშვილი,

მევენახე, თელავის რაიონის სოფ. აკურის კოლმეურნეობის
კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრი.
ვაჟას უვლი, თავზე ევლები და ვაზიც ხელებს ვერცხნის!
(დღეს, მთელ კახეთში, სახელი ჰევს ქვეხიშვილი ნიკოსი).
შრომით ავირვებ აქურას ვაჟები აკურატული,
შენ ხარ ვენახის მინდია — გმირულ შრომაში გართული!

ჯანელ ჩარგვიანი,

პოეტი, უურნალ „ცისრის“ მთავარი რედაქტორი.
საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.
თუმც არა ერთხელ ვეთხარი ჯანსულს ქება და დიდება,
მინდა კვლა ვაქო, ვაღიდო (ქება-დიდებაც ღვინდება):
როგორც პოეტი, იზრება, მდინარესავით დიდდება...
დღეს მამულს ჯანსულისთანა ნაღდი მოღვაწე სჭირდება!

ნოდარ ჭულებისირი,

მწერალი, საქართველოს კომკავშირის პრემიის
ლაურეატი.

ხარ შემოქმედი ნამდვილი, ფეხქლები ნიჭის დენთითა...

იქცა საყვარელ წიგნებად „თუ თარ ჩე ლა“ და

„თე თრი მთა“. გვინდა, თაობის ფიქრები კვლავ მძაფრად აამეტყველო, —

ნოდარ, ყელამდე მართალო, სიკეთის აქტორშედელო!

ნაზიბროლა ჩასაბა,

მექანიზატორი, ვალის რაიონის ჩაის საბჭოთა
შეურნეობა-ტექნიკუმის ქალთა კომპლექსური
ბრიგადის ბრიგადირი.

ნაზიბროლავ, მილწევები შენი ვიცი, შემიტყვია!

შენი შრომა, მე ვიტყოდი, ქალის შრომის ზენიტია...

მაგ ბრიგადით, დაო, ღმერტომა კომპლექსურად გაჯანმრთელოს!

სულ ხასხასა ჩაის კრეფლეს ხასაის „საქართველო!“

ცხრილი ეპისოდი

ცხრას ხუთი წუთი აკლდა, როცა სამშაროველოს უნიტაში შევეღლი. სამდინაოში, თანამშრომელთა აღრიცხვის უურნალში ხელ მოვწერე ზუსტად ცხრა საათზე ჩემს მაგიდასთან ვიჯექი. გიბიდან ახალი გაზეთები ამოვიდას და კითხვს შევუდექი. კაველა განეთი გადავიკითხე. სხვანირა არც შეიძლება, უნდა იცოდე, რო ხდება ქეყუანაშე. ბოლოსთვის „თბილისი“ დავატოვე. მკედრები გადავთვალიერე. მაღლობა ღმერთს, ნაცნობი არვინ იყო. გაზეთები ტურაბელიძეს ვათხოვი და მეზობელ თახში გავედი. აქ გუშინდელი ფეხბურთის მატეს არჩევნები. როცა ფეხბურთის თემა ამოვჭურები, ანეკდოტებზე გადავდეთ: ჰეშმარიტა-შევილმა ახალი ანეკდოტები თქვა. მოვკვდი სიცილით. გადასარევად ყვება. აქედან მმართველის მისალებში ავედი. მმართველის მდივანი — აიდა პატარა სარევაზ თმებს ისწორებდა. ეგ რომ არ იყოს, აქ არც ამოვილი. გადასარევაზე აქვს. ჟკვერი რითქმის დაბრული მყავს, მაგრამ პატარიზე ჯერ ვირ დავითანხმე. როცა ჩემს თოაში დაბრუნდი, სინგარაშევილმა ქათრავ შემომთავაზა. გუშინ დავამარცხე და რევანში სწადია. სამი პატრიიდან ორი მოვუგე. ძალიან სუსტი ენდშპილში. შემობიდა პატარის დაწყება გვითოდა, მაგრამ შესვენების რომელ — პირველი საათი სრულდებოდა. შენობილან გამოვედი და ვერით მდებარე არსტორანში შევეღლი. მაღისთვის ასი გრამი არაყი გადავკარი, ლანგეტი მივირთვი და ყავა დავყოლე. ბოლოს სიგარეტი გავაბორე. ჭიშის მერე სიაფერის — არავერა სკობის — უზარმაზარ სიმოვნება. თვილები და კითხვა განვარენ. ძალიან სინტერესო წიგნია. ბოლო გველდებდე ვერ გაგებ, ვინაა მკვლილი. კითხვისაგან თვალები დამედოდა. წიგნი უქრაში შევინახე. ხალ დავძმოარებ. გაუსწრევლად ვზუგარ და ვგრძნობ რომ მეძნება. კამბის მერე ძილს არაური სჭობს, — უზარმაზარი სიმოვნებაა. თვალები თვეისით დამესუა და ჩაივლი. უცნაური სიზმრი ვნახ: ვითომ სამართველობან ძალიან დალლილი გამოვედი. უეტობუსში ბეგრი ხალი იყო. ჩამდენებირე ვალუ დაინინდა, მაგრამ დავხუჭვდი თუ არ თვალებს, კონტუქტორი მიჩქმეტდა და მეუბნებოდა, ბილეთი აილეო. ბოლოს ავიო ბილეთი და ვიფიქრე, ახლა მანეც დავიძონებეთ, რვალები და ბეგრუშე, მაგრამ კონტუქტორმა ისევ მჩქმიტა და მითხრა, წინ გაიჩინა. შენ ლოგინი გაშემოილი დამხვდა. ბალიშე დიღი, შევი ბუზი იჯდა. ბუზი გავგლე, დავწერი, თვალები დავხუჭვე და უნდა ჩამძნებოდა, რომ ამ დროს, ბუზი ყურში შემიტრინდა და საშინელი ვაკილი ვიგრძენი. თვალები გავანილე. მაგიდასთან სინგარაშევილი იღა და იღიებოდა, ხემშა ოთახში აღვერულო, მაგდასათ დავჭექი და ფული რამდენეგრმე გადავთვალე. ძალიან მიყვარს ფულის დათვლა. უზარმაზარი სიმოვნებაა. რამდენერაც არ უნდა გადავთვალო, არ მომბეზრდება. კიც იმდენი უული უნდა გრძნდეს, რომ ერ დაითვალო. საათს დავხედე. თოხის ნახევარია. რა ნება გადის დრო... დერია ქსნია ისევ ქსოვს. ალბათ, შვილიშვილისათვის. სინტერესოა, რა მდენი შვილიშვილი ჰყავს? მე ეკვი მაქენი, რომ ერბო ჟეკვეთებს იღებს. ნეტვი, ჩემგანც აიღებს? რა მდენი ხახა ჯემბრის მოქსოვა მინდა. ტურაბელიძე ისევ კროსვორდს ხსნის. არადა, რამხელი ცხვირა აქვს. ამხელა ცხვირი რომ შემნდეს, გავგიუდებოდი. ცხვირი. კიდევ არაფერ, მელოდი რომ არ იყოს. თანაც ცოლი არა ჰყავს. ბინა და მანქანა მაგას არა აქვს, ხელფასის კაცია, თანაც მელოდია და უზარმაზარი ცხვირი აქვს. ვინ წაყვება ასეთს. გიუები ცოტაა. ქალიშვილებმა ჰყაუ ისწავლეს. მაგას მარტო პლატიკური აპერაცია უშველის. გაიკეთოს და ადამიანს დაემსგავსება. სვინტიძე და ქეშმარიტაშვილი ისევ შაშს თამაშობენ. ჩენენ ხომ არ გვეთამაშა? ხუთის ნახევარია. სამ პატრიის მოვასწერებ. მე და სინგარაშევილმა თამაში განვაგრძეთ. ერთი პატრია მომიგო, რომ მოვუგე. ძალიან სუსტია ენდშპილში. ექვსს ხუთი წუთი აკლდა, როცა თამაში დაემთავრეთ. უქრები ჩავეტე, თანამშრომელთა აღრიცხვის უურნალში ხელი მოვწერე და შენობიდან გამოვედი. იყო ზუსტად ექვსი საათი. დალლილი, მაგრამ ნასამოვნები, შინისკენ გავეშურე. ხვალ შაბათია, ზეგ კვირა. რო დღეს დავისვენებ, როშაბათი კი ისევ საქმე...

ნახ. 5. მაღაფონიასი



— ერთად ვსრავლობდით, სკოლაც
ასე კარნახით დაამთავრა



ნამდვილად ლატარისა შე მისალები გამოცდები!
— ლატარის მის, მუხრან, ნიჭის, უკუ 30 მასაკ ლირფი
გილოვანი!

სავატიო მიზანი

თამადამ მესამედ აავსო ჭინ-
ვის ყანწი:

— თქვენ, ამხანაგო, რატომ არ
სვამთ?

— მე, ბატონო, საჭესთან ვზი-
ვარ...

— თქვენ, ყმაწვილო?

— მეც, პატივცემულო ...

— ის ახალგაზრდა კუთხეში,
ისიც?

— დიას ... გაწითლდა ახალ-
გაზრდა.

თამადა ადგა, ღიძჲ ხელი ჩა-
მოისვა, ფანჯარასთან მივიდა და
ეზოში გადაიხედა, სადაც მისი
თეთრი „ვოლფა“ იდგა, შემდეგ გ
სუფრას მიუბრუნდა:

— ბიძიებო! იქ ჩემი მანქანის
მეტი არაფერი ღგას და თქვენ
ველოსიპედებით ხომ არ მო-
სულხართ?

ცორი შენიშვნა

— შვილო, თბილყელიანი ჭემ-
პრები არა გაქვთ?

— არა, ბატონო.

— საზამთრო პალტო?

— არც პალტო...

— დაბამბული ქურთუკი მაინც
არა გაქვთ?

— არა გვაქვს, ბატონო.

— აბა, რა გაქვთ?

— ფრანგული როლინგსტონები,
ინგლისური ნეილონის სარიჩ-
ები. იუგოსლავური საზაფხულო
პლაზები...

— მაშინ წაშალეთ თბილ-
ტანსაც მელგაჭრობა და
ცივტანსაც მელგაჭრობა
დააწერეთ!


თამაზ თევდორაძე



— რა დაგიჯდა ეს ჭაღი?

— ქმარი!

ნახ. ჯ. ლოლუაძე



— რაც ეს მიზისვეშა გადასასვლელები გააკეთოს, ჩეჩიზე გადასვლა საბრძნებ-
ლედ გაიოდდე.

რა დაემართებოდა კაზა მუჯაქას აა ჩავჭრელი

ზვანების სალამო იყო. ასფალტი ისე იყო დამ-
ღნარი, ფეხებს, ხელების დაუხმარებლად, ვერ გადა-
დგმდი. მთელი ღლის განმავლობში მუშაობით მოქან-
ცელი კაცია მუნჯაძე დაგდა სახლის წინ, ძელ-სკაზე,
მიაყულა საბაზრის ჩინი, მაიდორითა და ბადრიზნით
სავსე დაგვაზრახა მეზობელს, რომელსაც ვედროთი
წყალი მოკერნდა:

— კესარიავ, თუ ქალი ხარ, ერთი ჭიქა დამალევი-
ნე! ისე ვარ მოდალული, რომ ქვალი ცალკე მაქ და
რბილი ცალკე.

— აგაშენა მოხრომა! — თქვა კაციამ და ხარბად
დახედა „ვერდას“.

— აუცერ მოგიდება მზე, კაციავ, კონგრესს გვა-
ხარ! — ჩინი კესარიას.

— მზე კი არა, კესარიავ, ათი ღლეა, პირი არ დამი-
ბანია. არა ვარ შეტანია, მაგრამ, გუშაგ ვაკეში ვიყა-
ვი კი ენებ არ დაივერ, ლოკიამ კაცი იჯო და და
წყალს სვამდა, ნამდვილ წყალს, საკუთარი ინჯანიდან!

კესარიას გაოცებსაგან წინააღმდეგ თვალები გადმოუ-

ცვიდა, მერე თხაგრძნებით თქვა:

— პაშა კიღევ, პა, ორ-სამ თვეში აგრძლება

და წყალს გამოუშვებენ ჩენეს ქუჩაზეც!

... მეოთხე სართულზე ძლიერ აიგონა მოთენილი

ტანი კაციამ და ინგლისური გასაღები აჩხარუნა.

— ბაბა, წითელი ბულო მომიტანე? — მიერებე-
ბოდა ხოლმე კარებში სულ უმცროსი, ორწლინანევ-
რის ვაჟი... მარგამ ახლა არავინ მიპეტებია, რადგან
კაციას ცოლ-შევილი კიერთში ჰყავდა გასტუმრებული.

... ის იყო, კაციამ ტელევიზორის ჩართული „ფორსაი-
რების საგას“ მეჩინდეტე სერიის საურებლად, რომ

კარებთონ ვიოლეტ ჩახველა და კაციელო, დაიძახა...
კარის მეზობელი იყო, ვილაცამ თქვა, წყალი ამე-
ღობ გამოიარს, — უთხა კაციას.

— კაციამ დაურა ონჯანები. ისე იყო გამშრალი, არ-
ქეოლოგი თუ დაგდები, თოლია თუ არა
წყალი ამ მილებში. შეხედა სამზარეულოში უწესრი-
გოდ მიყრილ, ათი ღლის განმავლობაში ნამზარ-დათხუ-
პნულ ჭურულებს... „მალონბა ღმერთს, ი ბალნებს
მაიც ექნებათ წყალი თვეში სახემელად“ — გაიფიქ-
რა კაციამ და მიღება მტკიცე გადაწყვეტილება, ამაღამ
როგორაულო წყალს.

— მერე რავა შეგიძლია ამ მოდალულ კაცს? — თი-
თქოს ცოლის ხმა ჩაესმა კაციას.

კაციამ დაიღვა სკამი ონჯინის წინ, ჭიქა მუხლზე
დაიღო და გაისუსა. მქრალი, ნარნარი სინათლი საა-
მონ ილვრებოდა 127 ძაღლს სმოცანანთლიანი ნათუ-
რიდან, თავგომდებით სტენდა და ბზურდა კარნიშ-
თონ მიმალული ერთადერთი ბუზი, თითქოს კაციას ნა-
ნინს უმღროდა.

„არა, უსათუოდ ამაღამ გამოიარს წყალი ამ ონჯა-
ში“, — ფიქრობდა კაცია.

გადაიწურა შუალამეც... წყალი არ მოვიდა, მაგრამ
მოვიდა ძილის ანგელოზი და კაციას ფუთიანები და-
კიდა ქუცერებზე... „რომ ჩამეინის, წყალი მოვი-
დეს და უჩემოდ გეიაროს! რომ აღარ გამოხნდა იგი
დასაქმეველი?“ — შეწრიალდ კაცია, მერეხელობად
ჩათვალი ეს ფიქრი — „სადა წყალი დასაქმეველი?“

„მოლა, ააწა თვალს მოვატუებ და შეე ფეხზე
ლიან ვიწნები“, — გაფაქმა კაციამ, ტან გახანა, ჩა-
წევა აბაზნაში, დაღო თვავი შეაქვეშ და ჭიქა მაგრამ
ჩაბლურა: „თუ ვანიცობა, წყალი მოვიდა, უხაპევე
თავი რომ მექნება, მაშინვე შევიტყობ და წამოვტე-
ბი“. ...

რამდენჯერ უბანინია ამ აბაზნაში! სანით რომ
გადაიპენტებოდა, მერე შხაპევე დაგებოდა. თქეშით
მოდიოდა წყალი! ნაღვილი წყალი! გინდა ცივი, გინ-
და ცხელი... წყალი! რატომ ემანან ზოგერ ქაცი „ს-ა-
წყალი“? რამდენი რამ ტრიალებს საწყალი მოსამ-
სახურის თვეზე გამოადველი შენ გატყუებს, გა-
ზიან წყალის ავტომატი... ჩაგდებ სამკაიიდან და
კაბიკიან წყალი გისამას. ტელეფონი სანახევროდ არ
მუშაობს და გადასასანდს მოელ გართმევენ, ტრანს-
პორტში ნერვები იგლიჯე, ლირეტორს გატყელი,
წყლის ლოდნები ღმერები ათენე, დაგვიანდება სამ-
საურიში, ბრძანება და შენი განი — საყველური ზედა
გაქვს!

... არ გასული ნახევარი საათი, რომ გამოხნდა წყა-
ლიც. იმისი ვერცხლისფრად მოვარუებული შენ გატყები
თვალწარმტაცად ბრჭყვიალებდა ნათურის შექვე. კა-
ცია წამოვარდა ზეზე, მოიმარგვა ჭიქა, აავსო... გა-
დაპკა ერთი, ორი, სამი... შეურტელს თვალისდახამნა-
მებაში გზინგა დაწყებინა, მერე მოაგროვა ქვებები,
ბალნები, ჭიქები... და სუყველა დაავსო. კალანდამღი
კი ეყოფა აგრ წყალი...

მეოთხე ღღებ, ასე თორმეტ საათი მდე, ცარიელ აბა-
ზნაში ეძინა კაცი, რომელსც ხელში ჩაბლურა (1)
რიელი ჭიქა... ეს იყო კაცია მ შუ ნ გ ა ძ ე!



ნესნალ უკა გოვა!

ცერტიფიკატი
ნოტიფიციაცია

ჩაღა იგი სინათლე...

ნათებამის, სინათლე უჩრდილოდ არ იქნება. ამ კეშმარიტებაში ჩვენც დაუტწმუნდით. საქმე ეხება სინათლის ბნელი გზით გამოყენებას...

ელექტროენერგიის „ენერგიული“ გამოყენების რანაირ უნიკალურ საშუალებებს არ წააწერდება კაცი ამ ქვეყნად:

სოხუმში, თბილისის გზატკეცილის №108 ბანაში მცხოვრებ ლონგინ ჭიქიძე ეს ქალივით დაუწევლია, დამიწდეს ელექტრომრიცხველის მომგონიოდ და, „დამიწდების“ საუკალებო ქვეყნის დენს იძარავდა თურმე. მშეიღების გამზირის №45 ბინაში მცხოვრებმა ანდრია ასკაცურ როვერა იმ კაცის შთაბეჭიდლება დატვა, რომელსაც სარფიანი საქმისათვის ნების ყუნწში გაძრობა შეუძლია... მას ნებისით გაუხრებითა მრიცხველი და უზომო ელექტროენერგია „დაუზოგავს“. შერგაშიძის ქუჩის № 118-ში მცხოვრებ გიორგი კალანდიას უფრო გაბედული ფანტისთვის მიუმართავს: მას, როგორც ზედმეტი ნაწილი, სახელმწიფო პლომბი აუგლებია მრიცხველზე და არღანივით უბრუნებია ციფრები, რაც შეხება კუხალეიშვილის ქუჩის № ვა ბინაში მცხოვრებ რულოლუ კირილ ნკოს, მას არამც თუ პლომბი, თვით მრიცხველი მიუჩევია ზედმეტ ბარგად და დრომოჭმული ნივთივის სანავავი უფრთხო გადაუსხრია. გაოცებას იწვევს მშეიღების გამზირის №172-ში მცხოვრებ რომან არზიანის გამომგონებლური ნიჭი: მას შეუქმნა საეკიალური მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც იგი ერთ წუთში უკან აბრუნებს მთელი კვირის განმავლობაში ნატრიალებ ციფრებს.

სინათლის ბნელი გზით გამოყენებაში კერძო პირებს არც ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება ჩამორჩება: სინათლის წყარო ჩინებულ შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ... სოხუმის მეორე ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციაში (უფროსი ნ. ელ ია ვა) მრიცხველზე ჩაურთველად მუშაობდა ერთი სამფაზიანი სისტემა. ეს კი დაბარჯული ენერგიის ერთი მესამედია. ელექტროდენის ხარჯაში უფრო მეტი „მომზირების“ გამოუჩერიათ სასტუმრო „ინტურისტის“ გამგებლებს (დირექტორი ნ. კემულარი ა. მათ პურის საცხობში თვითონბურად დაუყენებიათ ოც კილოვატამდე სიმძლავრის წერტი, რომლითაც ერთი წლის მანძილზე სარგებლობდნენ. რესტორან „ამრაში“ (დირექტორი ს. ბაირამ ვა) და რესტორან „რიწაში“ (დირექტორი ა. არზამა) უკველევარი „ანგარიშის“ გარეშე ხარჯავლენ ქვეყნის დენს...

იმდენი შემოქმედებითი ენერგია შეალიეს ზემოაღნიშნულმა „რაციონალიზატორებმა“ ელექტროენერგიის მითვისებას, მათ რომ ერთად მოფუყაროთ თავი, ამ ენერგიით ერთ „შესსაც“ კი ააშენებდა კაცი.

გიგი მიეავა,
ვვანი აჟავები,
სოხუმის ელექტრონაგებობათა სამართველოს თანამშრომლები.

გაიოზ უავერზაზვილი,
კონდრათე უგილავა,
უურნალ „ნიანგის“ კორესპონდენტები.

ანგალოზი

სოხუმიდან ახალი ათონისაკენ მიგეწრილი. უცრად ავტომანქანა ისე მქეოთრად დამტხრულდა, შებლით სარკმლის ჩარჩის შევასქიდი და გონება დაეკარგე... როცა აზროვნების უბრი დამიბრუნდა, გაოცებისაგან ლამის მეორედ დაეკარგე გონება. აი, რა სურათი გადაიშალა ჩემს წინ: ჩემი მეგობრის „ვოლგის“ კოპორზე დევს ვერცხლის მიზრდილი სინ. სინზე განლაგებულია მრგვალად მოხარული დედალი, შემწვარი ვარია, ორი მწვადი, ცოცხალი თევზი, შავი ხზილალა, სულგუნი, სალათა, მჭადა... პატარა შუშით კრიბაკი, ორი ლიტრა ლვინო, ბორჯომი, ლიმონათა.

— ნამდვილად იმ ქვეყნად ვართ, — აღმომხდა გაოცებულს, — ეს ტაბლა ჩევნი სულის საცხონებლად დაუდგამთ ჩევნს დამღუპველ მანქანზე.

შემდეგ კიდევ უფრო ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ ჩევნ საქიოში, კერძოდ, სამოთხეში მოქედოთ: თვალი მოვკარი მანქანის წინ ჩემი მეგობრის პირისპირ მდგარ ულამაზეს ქალს....

— ესეც ანგელოზი! — ვთქვი და გარეთ გავიჰქორი, — ვინ ხარ, ანგელოზო? — მიუუბრუნდი საოცარ ასებას.

— ოფიციანტი ვარ, ბატონო! — მომიგო მან დარცხვენით და მანქანაზე ჩამოდებულ სინზე მიმითითა.

— როგორ, — გავვოცდი მე, — სამოთხეშიც არიან ოფიციანტები!

— გმაღლობთ ჩევნი რესტორნის შექები-სათვას. ისე კი, ჩევნი მღვიმე მართლაც პეტა სამოთხეს... — თქვა მან, მანქანაზე ჩამოდებულ ხონჩას ხელი დავვლო, გზატკეცილი გადაქვევთა და გამოქვაბულში გაუჩინარდა.

ნახ. 3. პუბლიკისა



— მა, ნატა, იმასც მოვესწრებოდე, შვილო, რომ მე ცხოვრების სარჩევშიც ჩაიხედო!



— ვირ დავლებ, ინფარქტი მაქვს გალატანილი!...
— შენ გადატანილი გამნის, ჩვენ ვიძითხოთ! მიღი, დალიე!

სამოთხოება

სამოთხოება

შემდეგ უკვე ოვალნათლივ დავინახე რამდენიმე მსგავსი „ანგელოზი“. ისინი გზატეცილის მარცხნია მხრიდან მიწისქვეშა კიბით ამოდიოდნენ, გადაჭრილენ ავტოტრასას და გამოქვაბულში შერჩოდნენ. აქედან სავსე სინები შიპქონდათ, იქიდან კი ცარიელებს მოარმდენინებდნენ. მაგრამ მათი სამოქმედო ასპარეზის გადალახვა არც ისე იოლი საქმე იყო: ავტომანქანების გაბმული კოლონები იშვიათად იძლევდა მათ გზის გადაკვეთის საშუალებას. ისინიც იდგნენ და ელოდნენ... ზოგიერთი განედული ოფიციანტი ჯამბაზური ილეთით უქცევდა და მხარს გაქანებულ ავტომანქანებს, რითაც თაგს საფრთხეში იგდებდა.

— ახლა ხომ მიხვდი, რაშიც არის საქმე? — მკითხა თანამგზავრმა.

— მივხვდი, ძმობილო. მადლობა ღმერთს, ის „ანგელოზი“ რომ მართლა სამოთხეში არ გავამგზავრეთ. კი მაგრამ, რა გაუჭირდათ ერთი მიწისქვეშა კონვეირის გაყვანა?

— აქვთ კონვეირი, მაგრამ, დიდი წანია, მწყობრიდან გამოვიდა და მის აღდგენაზე არა ვინ ფიქრობს.

— რა ჰქონა ამ ჩესტორანს? — ვიყითხე მე და კალამი მოვიმარჯვე.

— ეშერა.


გაითხ შავერზაშვილი

„საყვარელ ქუჩაზე“...

(ქ. სოხუმი, სადგურის ქუჩა)
გამუქდა ღრუბელი და წვიმას აპირებს,
ჩემს ფიქრებს ჭდვასავით სახლვარი არ უჩანს...
მივდივარ, მივყვები, თან ვქაჩავ პაპიროსს,
და ვფიქრობ: რა გალევს სადგურის ამ ქუჩას!
ხან ლოდებს ვაწყდები, ხანაც ვჰელ ტალახებს,
ვიუნებ ილეტობს, ვიცი თუ არ ვიცი,
ქუჩის მთელ ტრასაზე იმიათ „ხანახებს“
შევყურებ და გულით სინაულს განვიცდი.
ქუჩის მკვიდრო ბევრი აქვთ უთუოდ სახენეში,
რა უყონ, თავჭევით ძალა თუ არა აქვთ?
ფეხსავს შედან საკუთარ სახლებში
და ქვეუნის ტალაზი ბინებში გადააქვთ...


სერგო აბაიშვილი

ნახ. თ. გილაზვილისა




— მწიმო, ავადყური ჩინებულად გრძნობს თავს, მაგრამ ჩვენთვის უიმარი მდგრმარობაა... ისეთი კაცი ჩანს, კაცის ვერ გააგდებინამ!

ნახ. ი. თაბაშირიშვილისა



— ღრღზე რომ გაგემოთხანენ ცხვირის რეარქტის, ჩვენს მავზეს ამდუთ სწველებილი ხომ არ ექვემდება.



შეიტყვოდ

ნახ. ს. ციცავიძისა



— რაზეა ეს ხუთსამიანი თათბირი?
— ხუთსამიან საჭმალე!

გთავარი
რეაზტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლძგვაძე
(პ/მგ. მდიგარი),
ს. კლიტიაშვილი,
გ. გალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოკაზილი),
გ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“

თბილისი, რუსთაველია,
პროსპექტი № 42.

თბილისი, სატირიკული
კომიკუსურის განცხადების

99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.

საერთო განცხადების
93-10-78.

სამ. გვ. ვა-ის გამაცხად-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაფოგაძ
25/VIII-71 ვ.

ხელმოწერილია დასა-
გვიდად 11/X-71 ვ.

ჩაღალების ზოგა

70×108^{1/2}.

ფიზიკური ნაგაფილ ფურ-
ცელი 1,

სააღრიცხვო-საგამოცხ-
ვლო თაგანი 1,4.

სამ. გვ. ვა-ის გამაცხა-
დლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.

№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

ვებგ. № 3198.

ფო № 02165.


ტირაჟი 128 500.



11
1971.

71-661

ერთობლივი
გამოცემის
ინდექსი 76137



— ასე ახალგაზრდამ, 50 წელიაღი, როგორ მოასრულოთ ამაღენი
საჭირო გაკეთება?

— 50 წელიაღი უფრო დაგენერაციულ დაცუავით.